საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს მიმართავს

ბატონო შარლ მიშელ,

მოხარული ვართ, რომ კვლავ ეწვევით საქართველოს. ვფიქრობთ, თქვენი ვიზიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე. მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის ქვეყნების ელჩების ერთობლივ წერილში გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები საყურადღებოა. ვიზიარებთ მათ შეშფოთებას, დაკავშირებულს "ბოლოდროინდელ მოვლენებთან, რომლებმაც ჩრდილი მიაყენა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებსა და საქართველოს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დამცველი ქვეყნის იმიჯს". ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობა შესაბამის ზომებს მიიღებს, რათა ელჩების მოწოდებები სრულყოფილად და დროულად აღასრულოს.

გვსურს გავიმეოროთ, რომ ჩვენი პლატფორმა, რომელიც 200-მდე სამოქალაქო ორგანიზაციას აერთიანებს შეშფოთებით ადევნებდა თვალს საქართველოში 5 და 6 ივლისს განვითარებულ მოვლენებს. ეს იყო უპრეცედენტო ძალადობა, განხორციელებული ჟურნალისტების წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაშავდა მედიის 53 წარმომადგენელი და გარდაიცვალა ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა. ასევე, შეგვაშფოთა ლგბტქ თემისა და საზოგადოებრივი აქტივისტების წინააღმდეგ აგრესიულობის ხარისხმა. აღსანიშნავია ხელისუფლების უუნარობაც, კონსტიტუციური სამართლის აღსრულებისა და საზოგადოების მოძალადეებისგან დაცვის თვალსაზრისით. დემოკრატიული პროცესების განვითარების გარანტი არის პირველ რიგში დამოუკიდებელი სასამართლო. ის ფაქტი რომ ევროკავშირის მოწოდების მიუხედავად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტმა, აფერხებს ქვეყნის დასავლურ მისწრაფებებს.

მივმართეთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, გამოიძიონ როგორც ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის, ასევე ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ევროკავშირის დროშის ჩამოხევისა და დაწვის ფაქტები.

მიგვაჩნია (და ამაშიც ვიზიარებთ შარლ მიშელის პოზიციას), რომ უნდა იყოს მიღებული როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური ზომები. ჩვენ, როგორც ევროინტეგრაციული პროცესების სადარაჯოზე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი სამოქალაქო ორგანიზაციების გაერთიანება, მომავალშიც გავაგრძელებთ ძალისხმევას ამ მიმართულებით.

მზად ვართ, ჩვენი პლატფორმა იყოს საქართველოში ევროპული ღირებულებებისა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ გაცხადებული მისწრაფებების მთავარი ფორპოსტი.

ბატონო შარლ მიშელ, მიგვაჩნია, რომ დღეს, გამომდინარე გეოპოლიტიკური და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან, საქართველოს მთავრობა უნდა იყოს კონსტიტუციისა და ასოცირების ხელშეკრულების აღმსრულებელი. საქართველოს მთავრობა უნდა გაემიჯნოს, გამოიძიოს და დასაჯოს მოძალადეები. მან უნდა გამოიკვლიოს ყველა ის ჯგუფი, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროატლანტიკურ და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს და აღკვეთოს ნებისმიერი მცდელობა, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებას დაემუქრება.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ ერთად გავუმკლავდებით მომეტებულ საფრთხეებს და საქართველო განაგრძობს უწყვეტ სვლას ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი
3. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
4. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. ადგილობირივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
8. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
9. საზოგადოებრივი დამცველი
10. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. ასოციაცია მშვიდობიანი და საქამიანი კავკასია
12. მეწარმე ქალთა ფონდი
13. საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო”
14. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
15. „გადავარჩინოთ მომავალი თაობა“
16. იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
17. ასოციაცია „დეა“
18. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
19. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი

20. ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი
21. გაერთიანება ჯანმრთელობისა და განათლებისთვის
22. ახალგაზრდული ალტერნატივა
23. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“
24. ასოციაცია „დრონი“
25. საქართველოს ახალგაზრდა მუშაკთა ასოციაცია
26. ადამიანის უფლებათა ცენტრი
27. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
28. „განიარაღება და არაძალადობა“
29. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო
30. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
31. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი